მოსკოვში დასასრულს უახლოვდება ახალი დახურული საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც მდებარეობს „კრასნაია პრესნიას“ კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე. აუზში იქნება სამი სხვადასხვა მოცულობის აუზი: ძირითადი — 350 კვადრატული მეტრის მოცულობით, რომელსაც ახლავს ტრიბუნები 550 მაყურებლისათვის და საწვრთნელ-სავარჯიშო ნაკლები მოცულობით. დაიდგმება წყალში სახტომი ორი კოშკი.

სურათზე: ახალი საცურაო აუზის გარე ხედი.

ფოტო ნ. კულეშოვისა.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 149 (1631) ○ სამშაბათი, 20 დეკემბერი, 1960 წ. ○ ფასი 80 კაპ.


1960 წლის 27 დეკემბერს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 43) შედგება საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების

## IV პლენუმი

დღის წესრიგშია: 1. მოსწავლეთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგები და 1961 წლის სპარტაკიადისათვის მზადება.

2. რესპუბლიკაში ტანვარჯიშის განვითარების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

დასაწყისი 12 საათზე.

## ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატი

კიევი. ახლად აგებულ შესანიშნავ სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში.

ვაჟთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდა სამი უკრაინელი ტანმოვარჯიშე: კიეველები ბ. შახლინი და ი. ტიტოვი და ხარკოველი ი. მაკურინი. გამარჯვება წილად ხვდა გამოჩენილ სპორტსმენს ბ. შახლინს, რომელიც მეხუთედ იგებს სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას. მისი შედეგია 114,45 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მისი მუდმივი მეტოქე ი. ტიტოვი — 114,15 ქულა. მესამე პრიზიორია ი. მაკურინი — 113,075 ქულა.

ქალთა შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდა ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ლატინინა (კიევი), ხოლო მეორე ადგილზე იმყოფებოდა პ. ასტახოვა (სტალინო). მაგრამ საბოლოო გამარჯვების მოპოვება ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. აბსოლუტური ჩემპიონი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მურატოვა (მოსკოვი) — 78,025 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ლ. ლატინინა — 77,85 ქულა და ტ. ლიუხინა (ვორონეჟი) — 75,35.

აღსანიშნავია თბილისის დინამოელი ტანმოვარჯიშის მ. ბოგუსის წარმატება, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის“ ტანმოვარჯიშეებმა. მეორე ადგილზე არიან საბჭოთა არმიის, ხოლო მესამეზე „დინამოს“ ტანმოვარჯიშეები.



ამ უკანასკნელ წელს აკრობატიკაში განსაკუთრებით დაწინაურდა ბათუმის „სპარტაკის“ ძალისმიერი ოთხეული, რომელმაც ამას წინათ ჩატარებულ შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატის ნორმას გადააჭარბა.

სურათზე: „სპარტაკის“ ძალისმიერი ოთხეული — ვ. ჭვართავა, ნ. ავეტისოვი, ა. ვერჩენკო და ა. აროიანი ასრულებენ ვარჯიშს.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

## მაყურებელთა ყურადღების ცენტრში

### საკავშირო პირველობის მეორე წრე წყალბურთში

მოსკოვი. დასასრულს უახლოვდება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ტურნირს ლიდერობს მოსკოვის „დინამო“, რომელიც ახლა ფაქტიურად კონკურენციის გარეშეა. შემდეგ მოდიან თბილისის „დინამო“, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცსკა და ბაქოს კკფ.

16 ტურის შემდეგ მოსკოვის „დინამოს“ 31 ქულა ჰქონდა. შემდგომ ტურში დინამოელებმა დაამარცხეს რუსეთის ფედერაციის კოლექტივი — 7:1, დააგროვეს 33 ქულა და კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერობა.

თბილისის წყალბურთელებს ცსკასთან თამაშის წინ 25 ქულა ჰქონდათ, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს — 24, ხოლო არმიელებს 23. ამიტომ ბუნებრივია, რომ თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის არმიელთა შეხვედრა მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

„დინამოს“ თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: გოგოლაძე, ჩიქვანაია, ავანესიანი, მეგედი, რომანოვი, გვახარია, ჩხიკვაძე. პირველი ბურთი ხელთ იგდეს არმიელებმა, რომლებმაც გაშლილი ფრონტით შეუტიეს თბილისელთა კარს, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ბურთს დაეუფლა ჩიქვანაია, რომელმაც სწრაფად გადააწოდა იგი გვახარიას. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა კარგად მოიგერია არმიელთა მეკარემ. შემდეგ თბილისელები კარგა ხანს უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ არმიელთა დაცვა ფხიზლად იცავდა კარის მისადგომებს.

მოწინააღმდეგის თავდამსხმელთან ერთ-ერთი შეტაკების დროს მსაჯი აუზიდან აძევებს ავანესიანს. არმიელები გადადიან ხანგრძლივ შეტევაზე და ცდილობენ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას, მაგრამ მეკარე გოგოლაძისა და დაცვის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მათი იერიშები უშედეგოდ დამთავრდა. პირველ პერიოდს ანგარიში არ მოჰყოლია — 0:0. მეორე პერიოდში გვახარიას მიწოდება კარში ძლიერი დარტყმით დაამთავრა ჩიქვანაიამ, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს. მოსკოველებმა კვლავ შეუტიეს და მაინც შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ანგარიში გახსნა და თამაშში ხელახლა ჩაება ავანესიანი. თბილისელები უტევენ მოწინააღმდეგეს ახალი ენერგიით, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევენ. უკანასკნელ პერიოდში რომანოვი შეცვალა მიმინოშვილმა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა თბილისელთა იერიშები. ერთ-ერთი შეტევის დროს ჩიქვანაიამ კარგად გაიყვანა თავისუფალ ადგილზე მიმინოშვილი, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბალტიკა“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 3:3. მოსკოვის უნივერსიტეტი-სკიფი (ლენინგრადი) — 2:1, კკფ (ბაქო)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 1:1, სკიფი (კიევი)-„შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — 1:1.

ამრიგად, 17 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა მოსკოვის „დინამო“ 33 ქულა, 26-26 ქულა აქვთ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის უნივერსიტეტს, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით თბილისელები მეორე ადგილზე იმყოფებიან. ცსკა 24 ქულით მეოთხე ადგილზეა.

### უკანასკნელ საათს!

გუშინ თბილისის დინამოელები შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკს“. ანგარიში პირველ პერიოდში გახსნა გვახარიამ, მესამე პერიოდში მიმინოშვილმა მეორე ბურთი გაიტანა. 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ასე დამთავრდა წუხანდელი მატჩი.

ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

## პრეტენდენტთა ტურნირი იუგოსლავიაში

მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჭადრაკში ქალთა შორის დაწესებულია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ 1927 წლიდან. ფიდე-მ ლონდონში გამართა დიდი ტურნირი, სადაც გაიმარჯვა 21 წლის ჩეხმა მოჭადრაკემ ვერა მენჩიკმა. ეს იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონი. მომდევნო წლებში მსოფლიო პირველობა იმართებოდა ტურნირების სახით. ვ. მენჩიკმა ხუთგზის დაიკავა პირველი ადგილი და თითქმის 17 წელი უცვლელი მსოფლიო ჩემპიონი იყო. ამ ტურნირებში საბჭოთა მოჭადრაკეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

1950 წლიდან ფიდე-ს დადგენილებით ძალაში შევიდა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემა, რომელიც ვაჟთა პირველობის ანალოგიურია. ახალი სისტემით საჭადრაკო სამყარო იყოფა ზონებად, ეწყობა ზონაში შემავალი ქვეყნების მოჭადრაკეთა ტურნირები. აქ გამარჯვებულნი თავს იყრიან პრეტენდენტთა ტურნირზე, ხოლო ამ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე მატჩში (14 პარტია) ხვდება მსოფლიო ჩემპიონს. ამ ტურნირების ციკლს სამი წელი ეთმობა. შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება.

1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა უნდა შეხვდეს ახალ პრეტენდენტს, რომელსაც გამოავლენს პრეტენდენტთა ტურნირი. უკვე დამთავრდა სამი ზონალური ტურნირი, რომლებმაც გამოავლინეს პრეტენდენტები: მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), ა. კარაკაში (უნგრეთი), კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ტ. ზატულოვსკაია, ე. ბორისენკო, ნ. გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი), ა. რინდერი, ხ. აკსტი (გფრ). სულ ტურნირში ითამაშებს 20 მოჭადრაკე.

პრეტენდენტთა ტურნირის ჩატარება იკისრა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ, 1961 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ჯერ არ არის ცნობილი, თუ რომელ ქალაქში ჩატარდება იგი.

# მოსწავლეთა სპარტაკიადა საიუბილეო 40

## თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების პირველი სპარტაკიადა გაიმართა სპორტის 6 სახეობაში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 20 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის და „სპარტაკის" გარდამავალი თასი მოიპოვეს გამოთვლითი ცენტრის ინსტიტუტის ფიზკულტურელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გეოლოგიის ინსტიტუტის, მესამეზე — ელექტრონიკის, ავტომატიკის და ტელემექანიკის ინსტიტუტის სპორტსმენები. სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით მეცნიერებათა აკადემიის პირველი ჩემპიონები გახდნენ: ფეხბურთში — მეტალურგიის ინსტიტუტის, ფრენბურთსა და კალათბურთში — გეოლოგიის ინსტიტუტის, მაგიდის ჩოგბურთში — სამშენებლო საქმის ინსტიტუტის, ჭადრაკში — ელექტრონიკის, ავტომატიკის და ტელემექანიკის ინსტიტუტის და სროლაში — გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის გუნდები.

**გ. ფირცხალაიშვილი**

## წითელწყარო

რაიონული სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი და მძლეოსნობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის 9 საშუალო და 2 შვიდწლიანი სკოლის სპორტსმენები.

ფრენბურთელებს შორის გაიმარჯვეს ზემოქედელმა სპორტსმენებმა. ქალთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის სპორტსმენები.

კალათბურთში ვაჟთა შორის გაიმარჯვეს არბოშიკელმა მოსწავლეებმა, ქალთა შორის — ზემო მაჩხაანის კალათბურთელებმა. ფეხბურთში უძლიერესნი იყვნენ ზემოქედელები.

საერთო პირველი გუნდური ადგილი მოიპოვეს წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ზემოქედელები.

**ე. ჯანყარაშვილი**

## ქედა

დამთავრდა ქედის რაიონის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, სიმძიმეების აწევა, სროლა, ჭადრაკი და სხვ.

პირველი ადგილი ფრენბურთში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში დაიკავეს ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა. ფეხბურთში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ სოფ. ქედის კოლმეურნეობის წარმომადგენლები, ჭადრაკში — სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მოჭადრაკეები.

**ი. კუსიდი**

## პრიზები გათამაშდა

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება კალათბურთში. ქალთა გუნდებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელთა შეხვედრას.

სტუმრებმა დასაწყისში შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისელებს. მე-10 წუთის შემდეგ ანგარიშში განსხვავება მხოლოდ 3 ქულა იყო, შემდგომში მასპინძლებმა გააძლიერეს იერიშები და პირველი ნახევარი მოიგეს 11 ქულით — 29:18.

შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. როსტოველებს განსაკუთრებით გაუძნელდათ ჯანელიძის ნეიტრალიზება, რომელმაც ამ თამაშში თავის გუნდს 25 ქულა მოუტანა. შეხვედრა და მასთან ერთად თასი მოიგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა — 56:37.

პრინციპულ ხასიათს ატარებდა თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდების მატჩი. პირველი 18 წუთის მანძილზე დინამოელები წინ იყვნენ უმნიშვნელო უპირატესობით, მაგრამ დარჩენილ 2 წუთში ალტაბაევმა, კილაძემ, მინაშვილმა და უგრეხელიძემ საგრძნობლად გაზარდეს განსხვავება ანგარიშში. ტაიმი „დინამომ" მოიგო — 30:16, მეორე ნახევარში უპირატესობა კვლავ „დინამოს" მხარეს იყო, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც — 50:36.



თბილისის მსუბუქი ტაქსების კანტორის ბლოფილაქტორიის მუშა-მოსამსახურეები ხალისით ატარებენ საწარმოო ტანვარჯიშს.

**სურათზე:** წუთშესვენება კანტორის ეზოში.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

# კოლექტიური გამარჯვება

## გავიზიაროთ მათი გამოცდილება

თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატის მძლეოსანთა გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია სასკოლო კოლექტივების საკავშირო შეჯიბრებაში. მინსკის საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე ჩვენ სერიოზულ მოწინააღმდეგეებს შევხვდით. საკმარისია ითქვას, რომ ქალაქ სლუცკის (ბელორუსია) № 5 სკოლის გუნდში სპარტაკიადის 9 პრიზიორი გამოდიოდა და ამ სკოლის გოგონათა გუნდმა საკავშირო რეკორდიც კი დაამყარა ესტაფეტაში.

ჩვენ გავიმარჯვეთ ჭაბუკთა შეჯიბრებაში. 8 სახეობიდან ხუთში საქართველოს სპორტსმენებმა პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო სამში — მე-3. გოგონებმა შეძლეს მხოლოდ სამი მე-2 და ამდენივე მე-3 ადგილის დაკავება. ეს იყო ჩვენი სკოლის ყველაზე სერიოზული გამოცდა ორნახევარი წლის მუშაობის შემდეგ.

მძლეოსნობის ჯგუფები მე-2 სკოლა-ინტერნატში ჩამოყალიბდა საქართველოს სპორტკავშირისა და თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ინიციატივით. მძლეოსანთა ორი ჯგუფის ხელმძღვანელობა ვიკისრე მე, ხოლო მესამისა — რესპუბლიკის ერთ-ერთმა წამყვანმა მწვრთნელმა შ. კილაძემ. ჯგუფების დაკომპლექტებისას ყურადღება მიექცა სპორტსმენთა ინდივიდუალურ მონაცემებს და მძლეოსნობის ამა თუ იმ სახეობისადმი სიყვარულს. ნახევარ წელზე მეტი დასჭირდა მხტომელთა ჯგუფის დაკომპლექტებას, რომლის მუშაობას სათავეში ჩაუდგა გ. ნადირაშვილი. შემდგომში მომავალ ხუთჭიდელებთან მუშაობა დაიწყო ვ. ვდოვინმა. გოგონები და ჭაბუკები, რომლებმაც გამოავლინეს კარგი გამძლეობა რბენაში, მივამაგრეთ ლ. ტყეშელაშვილს, ხოლო სპრინტერებთან მუშაობა დაიწყო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სანაძემ.

ჯგუფების ასეთმა დაკომპლექტებამ გააუმჯობესა წვრთნის ხარისხი და მომეცადინეებს გაუღვივა ინტერესი არჩეული სახეობისადმი, ამასთან, შეიქმნა პედაგოგ-მწვრთნელთა მეგობრული და შემოქმედებითი კოლექტივი.

პირველივე ნაკადიდან ჯგუფებში ვიყვანდით მოსწავლეებს, რომლებიც ასრულებდნენ გარკვეულ ნორმატივებს, ვინაიდან მისაღებ ნორმატივთა ცხრილი გეზს გვაძლევდა შემდგომ მუშაობაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1958 წელს სავალდებულო ნორმატივები გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე წელს და ორნახევარი წლის წინ დღევანდელ ნორმატივებს სამიოდე მოსწავლე თუ შეასრულებდა.

სკოლა-ინტერნატის არსებობის პირველ წლებში სუსტად გამოიყურებოდნენ გოგონები, რომლებიც 1958 წლის ნორმატივებსაც კი ვერ ასრულებდნენ, მაგრამ ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვეღო ყველა მსურველი, ვინაიდან სხვა გამოსავალი არა გვქონდა.

ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ინტერნატის მწვრთნელებმა მას შემდეგ, რაც საქმე მყარ ნიადაგზე დადგა. შემოწმდა საქართველოს სხვადასხვა რაიონების მოსწავლეთა შეჯიბრებები, განსაკუთრებით ისეთ მთიან რაიონებში, როგორიცაა ზემო რაჭა, სვანეთი და ხევსურეთი. მოხდა განსაკუთრებით ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდების შერჩევა, რომლებიც მოხვდნენ სკოლა-ინტერნატში. ეს იყო მეტად სასარგებლო საქმე, რომელშიც დიდი დახმარება გაგვიწიეს რესპუბლიკის სპორტკავშირმა, „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ და განათლების სამინისტრომ სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებების მოწყობით.

სპორტში ჯერ გამოუცდელ ახალგაზრდებს თავდაპირველად ვაცნობდით საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საერთო ამოცანებს, ვესაუბრებოდით საბჭოთა სპორტის წარმატებებზე, ხშირად იმართებოდა მოსწავლეთა კრებები, სადაც ვიხილავდით სკოლაში სწავლის საკითხებს, მიღწევა-ნაკლოვანებებს, შემდეგ კი დაიწყო ვარჯიშები ქალაქგარეთ გასვლით, ლაშქრობები, კოლექტიური დასწრება სპორტულ შეჯიბრებებზე და ა. შ. ყველაფერი ეს მოსწავლეებში კარგ ჩვევებს ნერგავდა და ხელს უწყობდა მეგობრული კოლექტივის შექმნას.

დღის რეჟიმი სკოლაში იწყება ადრე ადგომით — ზაფხულში 7 საათზე, ზამთარში — რვის ნახევარზე. დაჭერა ხდება ღია ცისქვეშ და ყოველგვარ ამინდში. სპორტულ მეცადინეობებზე ვიცავთ მკაცრ დისციპლინას, დაგვიანება ან გაცდენა ჩვენთან სერიოზულ დანაშაულად ითვლება. სკოლის პრაქტიკაში უდიდესი ყურადღება ექცევა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას. ასე მაგალითად, უფროსებმა მიმდინარე სეზონში 28 შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა, საშუალო ასაკის მოსწავლეებმა — 22, ხოლო უმცროსი ასაკისამ — 12-14 შეჯიბრებაში.

უნდა ითქვას, რომ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხით ჩვენ ძირითადად კმაყოფილი ვართ. შრომისმოყვარეობა, ხასიათის სიმტკიცე და სპორტული ბრძოლისუნარიანობა ჩვენს აღსაზრდელებს საკმარისად გააჩნიათ და ეს ჩვენ გვახარებს. შ. გუდაშვილმა (მწვრთნელი შ. კილაძე) მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გასულ წელს აჩვენა თავისი საუკეთესო შედეგი ბადროს ტყორცნაში და პირველი ადგილიც დაიკავა. რ. ჩუბინიძე (მწვრთნელი ლ. სანაძე) საკავშირო შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა სიგრძეზე ხტომაში — 5 მ. 86 სმ. 15 წლის გოგონამ მ. მაქაცარიამ (მწვრთნელი ბ. ტახტაროვი) საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე აჩვენა თავისი საუკეთესო შედეგი სიგრძეზე ხტომაში (5 მ 33 სმ) და დაიკავა პირველი ადგილი გამოცდილ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

განსაკუთრებით ხასიხარულო იყო საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე ვ. სხულუხიას (მწვრთნელი ვ. ტყეშელაშვილი) გამოსვლა. მან 100 მეტრზე ფინალურ გარბენში აჩვენა 10,9 წამი, დაიკავა პირველი ადგილი სკოლათა გუნდებს შორის და მე-2 ადგილი ნაკრებ კოლექტივებს შორის. ვ. სხულუხია ამავე დროს მე-2 ადგილზე იყო 200 მეტრზე თარჯრბენის ფინალში, დაბოლოს, მან ხელი შეუწყო ჩვენი გუნდის წარმატებას ესტაფეტაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა აღნიშნულ შეჯიბრებაზე კ. გორძამაშვილმაც (მწვრთნელი შ. კილაძე). მან დაიკავა პირველი ადგილები ბადროს ტყორცნაში (52 მ 55 სმ), ბირთვის კვრაში (15 მ 10 სმ) და მეორე ადგილი შუბის ტყორცნაში (61 მ 59 სმ).

ჩვენს სკოლა-ინტერნატში სწავლების დროს ყურადღება ექცევა მძლეოსნურ მოძრაობათა შესრულების სწორ ფორმას და შინაარსს. ამაში მომეცადინეებს ხელს უწყობს მწვრთნელთა მაგალითი, კინოგრამების განხილვა და წამყვან სპორტსმენთა ვარჯიშებზე დაკვირვება. დიდი ყურადღება ექცევა არსებული შეცდომების გამოსწორებასაც — განსაკუთრებით ტექნიკის ელემენტებში. ჩვენ ვცდილობთ მოსწავლეებს შევასწავლოთ ტექნიკის საფუძვლები ადვილად მისაწვდომ ფორმებში.

მოძრაობის ჩვევათა გამომუშავების საუკეთესო საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია სპორტული თამაშობანი: გამარტივებული კალათბურთი, ხელბურთი, ლელობურთი, ესტაფეტური თამაშები და სხვ. მოსამზადებელი პერიოდის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარი გულისხმობს ყველა მოსწავლის აუცილებელ მონაწილეობას ზამთრის მძლეოსნურ მრავალჭიდში, რომელიც ჯგუფებად ტარდება. უფროსი ასაკის მოსწავლენი ერთმანეთს ეჯიბრებიან საბჭოთა კავშირში მიღებული მრავალჭიდის კომპლექსით, ხოლო საშუალო და უმცროსი ასაკის მოსწავლენი იგივე მიმართულების მრავალჭიდში, მაგრამ შესაბამისად გაადვილებული ფორმებით.

ყველა ასაკობრივ ჯგუფს ჰქონდა შეჯიბრებები სეზონის მანძილზე იმში და მში ნორმატივებსა და სახეობებში. შეჯიბრების ჩატარების ასეთი სისტემა ორიენტაციას აძლევდა როგორც მწვრთნელებს, ისე მოსწავლეებს მრავალჭიდში სამეცადინოდ და ნიადაგს ქმნიდა სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სკოლა-ინტერნატის სულ უფრო მეტი მოსწავლეები გამოდიან საქალაქო, რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, ხოლო უძლიერესნი მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებშიც. შარშან განათლების სამინისტროს ნაკრებ გუნდში 6 სპორტსმენი გამოდიოდა ჩვენი სკოლიდან, წელს კი მათი რიცხვი 9-მდე გაიზარდა. შედარებით მოკლე ხანში შევძელით 30 საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და მსაჯის მომზადება.

თბილისის სკოლა-ინტერნატი ხელს უწყობს ახალგაზრდებში მძლეოსნობის პოპულარიზაციის საქმეს და გეგმაზომიერად ხელმძღვანელობს ნორჩ სპორტსმენთა აღზრდას. იმედია, რომ იგი მომავალშიც გაამართლებს ნდობას და რესპუბლიკას მძლეოსანთა ღირსეულ ცვლას აღუზრდის.

**ბ. ტახტაროვი,**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი.**







რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ა. ქორიძე კარგად ათავსებს ერთმანეთს სწავლას, სპორტსა და აქტიურ დასვენებას.
სურათზე: ა. ქორიძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლაბორატორიული მუშაობის დროს. ა. ქორიძე და მისი მწვრთნელი პ. იორდანიშვილი (მარცხნივ) მორიგ წვრთნაზე. მარჯვენა სურათზე იგი ნაჩვენებია ნადირობის დროს.

ფოტო ხ. ონანოვისა.

# სამბისტებმა დაამთავრეს პირველობა

◆

**საქართველოს 1960 წლის პირველობა სამბოში**

◆

პრივილეგიურ პირობებში აღმოჩნდნენ უმჩატესი და ქვემძიმე წონის მოჭიდავენი. ამჯერად მათზე არ ვრცელდებოდა შეჯიბრების მკაცრი კანონი, რომლის ძალით 7 საჯარიმო ქულის შემდეგ მონაწილე ასპარეზობას სტოვებდა. ამ ორ წონაში მონაწილეთა სიმცირის გამო შეჯიბრება ჩატარდა წრიული სისტემით — ყველა მონაწილეს საშუალება მიეცა ებრძოლა ბოლომდე.

უმჩატეს წონაში ყველა შეხვედრა მოიგო და ჩემპიონის სახელი მოიპოვა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ა. ყაჩმაზოვმა. წარმატება ხვდა წილად დინამოელ ჩ. ქუცნიაშვილს, რომელმაც დაამარცხა სპორტის ორი ოსტატი, დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. მჩატე წონაში 8 მონაწილიდან მხოლოდ ორი იყო სპორტის ოსტატი, რომელთაგან დინამოელმა ქ. ინასარიძემ ავადმყოფობის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შეძლო და ჩემპიონობის უდავო პრეტენდენტად სპორტის ოსტატი ლ. კაციაშვილი დარჩა.

მოხდა ისე, რომ კაციაშვილი ფინალურ შეხვედრამდე მივიდა საჯარიმო ქულების გარეშე. მისი ძირითადი მეტოქე, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი მოზარდთა შორის ი. ვალიშვილი იბრძოდა დაუმარცხებლად, მაგრამ სამი საჯარიმო ქულა მაინც ჰქონდა. ჩემპიონის სახელის მოპოვება ვალიშვილს მხოლოდ წმინდა გამარჯვებით შეეძლო, კაციაშვილს კი ქულებით დამარცხების შემთხვევაშიც განალდებული ჰქონდა ჩემპიონობა. ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო საჭირო ფანდების ჩატარება, საქმეს ვერც გაფრთხილებამ (პასიური ჭიდაობისათვის) უშველა და ორივე მოჭიდავეს დამარცხება მიესაჯა. ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა ლ. კაციაშვილმა („კოლმეურნე“).

არასახარბიელო გამოდგა შეჯიბრების დასაწყისი საქართველოს ჩემპიონის გ. ნავროზაშვილისათვის (ქვემსუბუქი წონა). მან ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ ფეხი დაიზიანა და მაყურებელთა შორის გადაინაცვლა. პირველობისათვის 6-6 ბრძოლის ჩატარება მოუხდათ ბ. მარიდაშვილს („კოლმეურნე“) და დინამოელ ა. მარტყოფლიშვილს. პირველმა ხუთი შეხვედრის მოგება შეძლო და ჩემპიონობა მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონს მსუბუქ წონაში სპორტის ოსტატ თ. ელერდაშვილს („კოლმეურნე“) ღირსეული მეტოქეობა ვერავინ გაუწია დინამოელ ვ. ქევხიშვილის მეტმა და ერთადერთი დამარცხება, რომელიც განიცადა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა, მას სწორედ ქევხიშვილმა მიაყენა. მიუხედავად ამისა, პირველობა მაინც ელერდაშვილს დარჩა, ხოლო ქევხიშვილმა მე-2 ადგილთან ერთად სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ წონაში სპორტის ოსტატი გახდა აგრეთვე ლოკომოტიველი რ. მაისურაძე.

ქვესაშუალო წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ვ. მარიამული („კოლმეურნე“). საშუალო წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა დინამოელმა ზ. მუხიაშვილმა იოლად დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და პირველობა მოიპოვა.

გაძნელდა ჩემპიონის გამოვლინება ქვემძიმე წონაში. შეჯიბრების დამთავრებისას საჯარიმო ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ ბურევესტნიკელ ა. ზურაბაულს და ნ. ყაჩმაზაშვილს („კოლმეურნე“), თანაბარი აღმოჩნდა აგრეთვე წმინდა მოგებათა რაოდენობაც, საქმეში სიცხადე ვერც მათმა შეხვედრამ შეიტანა (უშედეგოდ ჭიდაობისათვის ორივეს დამარცხება მიესაჯა). ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა მათ მიერ მოგებებზე დახარჯულმა დრომ, სადაც უპირატესობა ყაჩმაზაშვილს აღმოაჩნდა.

მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონმა და საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორმა დინამოელმა ა. კიკნაძემ იოლად სძლია ყველა მოწინააღმდეგეს და შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული.

გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა „კოლმეურნე“. მეორე ადგილზეა „დინამო“, მესამეზე — „ბურევესტნიკი“.

უნდა აღინიშნოს ერთი მეტად აღმაშფოთებელი ამბავი, რომელიც დინამოელმა ოსტატმა გ. სიმონიშვილმა ჩაიდინა. მან სახალხოდ უშვერი სიტყვებით მიმართა „კოლმეურნის“ მწვრთნელს ჩხარტიშვილს. რისთვისაც იგი მოიხსნა შეჯიბრებიდან, მაგრამ ფედერაციამ ეს არ უნდა აკმაროს მას. ასეთი ხულიგნური საქციელისათვის მან უნდა მიიღოს უფრო მკაცრი სასჯელი.

ა. ბარნოვი

# ჰიმალაიზე, 1960 წელს...

წლევანდელი ალპინისტური სეზონი ჰიმალაიზე საიუბილეო იყო. შესრულდა 100 წელი მას შემდეგ, რაც პირველად იქნა დაპყრობილი 7-ათასიანი მწვერვალი — შილი (7.025 მეტრი) და 10 წელი მას შემდეგ, რაც დაიპყრეს პირველი 8-ათასიანი მწვერვალი — ანაპურნა (8.078 მ). 8-ათასიანი მწვერვალი პირველად მოდრიკეს ფრანგმა ალპინისტებმა ჰერცოგმა და ლაშენალმა და ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიმალაისა და ყარაყორუმის უმთავრესი ალპინისტური პრობლემები გადაწყვეტილია. განვლილმა საუკუნემ მოგვცა უაღრესად მდიდარი გამოცდილება, თუმცა მას შეეწირა ასეულობით სიცოცხლე. ალპინისტურმა ტექნიკამ ამჟამად მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, რომ მსოფლიოში არ შეიძლება არსებობდეს მწვერვალი, რომლის დაპყრობაც შეუძლებელი იყოს ადამიანისათვის.

დღემდე სულ 52 ალპინისტი იმყოფებოდა 8-ათასიან მწვერვალებზე. მხოლოდ ერთი მწვერვალი — შიშა პამგმა, რომელსაც გოზანტანგსაც უწოდებენ (8.013) არ უნახავს ჯერჯერობით ადამიანს. იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება და მისი მისადგომები ჯერჯერობით არაა გამოკვლეული. არსებობს ამ მთის მხოლოდ ერთი სურათი და ისიც შორიდან გადაღებული.

7-ათასიანი მწვერვალებიდან დღემდე დაპყრობილია დაახლოებით 60. აქ ალპინისტებს ჯერ კიდევ დიდი ასპარეზი აქვთ დათმობილი, ვინაიდან დედამიწაზე დაახლოებით 400-მდე 7-კილომეტრიანი მთები არსებობს.

წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა ჰიმალაის ექსპედიციები წარუმატებლად ტარდებოდა და ადამიანთა მსხვერპლსაც იწვევდა, 1960 წლის სეზონი შეგვიძლია ყველაზე ნაყოფიერად მივიჩნიოთ. წელს ჰიმალაის ცათამბჯენებს ერთი ექსპედიცია უტევდა ჩრდილოეთიდან და ექვსი — სამხრეთიდან. ამ ექსპედიციებში რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა და მათგან დაიღუპა მხოლოდ ერთი.

ექვსი ექსპედიციიდან, რომლებიც ნეპალის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, მიზანს მიაღწია ოთხმა, ხოლო ორი შეწყდა მაშინ, როცა საბოლოო მიზანი სულ ახლოს იმყოფებოდა. ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდათ შვეიცარელებს, რომლებიც დაულაგირზე ავიდნენ, ხოლო ინდოეთის ექსპედიციამ ვერ შეძლო ჩომოლუნგმას დაპყრობა სამხრეთიდან.

მაგრამ, როცა ლაპარაკია ალპინისტურ მიღწევებზე, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჩინელთა ასვლა ჩომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან. ესაა XX საუკუნის უდიდესი ალპინისტური მიღწევა.

ჩომოლუნგმას იერიშს ჩრდილოეთის მხრიდან დაახლოებით 4 ათეული წლის ისტორია აქვს და მას მრავალი ადამიანის სიცოცხლეც შეუწირავს. 20-30-იან წლებში ინგლისელთა 8 ექსპედიცია იძულებული იყო თავი დამარცხებულად ჩაეთვალა ჩომოლუნგმას წინაშე. მათგან ყველაზე იღბლიანი ასვლა ჰქონდა ნორტონს, რომელმაც 1924 წელს მიაღწია 8.573 მეტრ სიმაღლეს.

ჩინელ ალპინისტთა უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მათ გაპფანტეს მითი ჩომოლუნგმას მიუკარებლობაზე ჩრდილოეთის მხრივ, რაზეც წლების განმავლობაში დაჟინებით ლაპარაკობდნენ ინგლისელი ალპინისტები.

სწორედ მაშინ, როცა ჩინელები გაუდგნენ ჩრდილოეთის გზას ჩომოლუნგმასაკენ, სამხრეთიდან შტურმი დაიწყეს ინდოელმა ალპინისტებმა. ისინი გაჰყვნენ ზუსტად იმავე გზას, რომელიც გაიარეს პირველდამპყრობლებმა ჰილარიმ და თენსინგმა. ჯერ კიდევ მაისში მოწყობილ იქნა საიერიშო ბანაკი სამხრეთის მხარეს 8.000 მეტრის სიმაღლეზე. პირველივე შტურმის დროს, როცა ალპინისტები მწვერვალს დაცილებული იყვნენ სულ რაღაც 200 მეტრით, ამოვარდა საშინელი გრიგალი. მეორე შტურმი საერთოდ არ შედგა, ვინაიდან დაიწყო ხანგრძლივი მუსონი და ექსპედიციას ბარში ჩამოსვლა უბრძანეს.

ათი წლის ბრძოლის შემდეგ, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 8 ექსპედიცია მონაწილეობდა, წელს დაპყრობილ იქნა დაულაგირი. ამ წვერვალის დაპყრობა შეძლო შვეიცარიის ალპინისტთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. აიზელინი. პირველად ჰიმალაის ექსპედიციათა ისტორიაში შვეიცარელებმა გამოიყენეს პატარა თვითმფრინავი „იეტი“, რომელმაც ტვირთი და აღჭურვილობა პოკხრას დასახლებული პუნქტიდან აიტანა საბაზო ბანაკამდე 5.200 მეტრის სიმაღლეზე.

რ. კრუმოვი

(წერილი გადმობეჭდილია ბულგარულ ჟურნალ „ტურისტიდან“)

# გათამაშდა ხუთი ტური

თბილისში ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობს. ტურნირზე უკვე გათამაშებულია ხუთი ტური, გამოვლინდნენ პირველი ლიდერები.

კარგად აიღეს სტარტი გამოცდილმა მოჭადრაკეებმა თ. ლომაიამ, დ. ჯანოევმა, ე. მიქაელიანმა, გ. გამრეკელმა და ა. იზვოზჩიკოვმა, რომლებმაც 3-3,5 ქულა დააგროვეს. უფერულად გამოდის თბილისის ჩემპიონი თ. კიკიანი, რომელმაც დასაწყისში სამი დამარცხება განიცადა.

იმის გამო, რომ მხოლოდ რვა გამარჯვებული დაიშვება საქართველოს 1961 წლის ჩემპიონატში, ბრძოლა ტურნირში შესამჩნევად გამწვავდა.

## „განთიადი“

დამთავრდა „განთიადის“ რესპუბლიკური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, სადაც მონაწილეობდა 32 ტანმოვარჯიშე. აღსანიშნავია, რომ ოსტატთა პროგრამით ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა 22 სპორტსმენი.

ოსტატთა კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისის წარმომადგენლებმა — ვაჟთა შორის ი. აივაზიანმა (111,2 ქულა) და ქალთა შორის ე. მდივანმა (72,4 ქულა). პირველ თანრიგში შესაბამისად გამარჯვება მოიპოვეს გ. სიდამონიძემ (თბილისი) და ნ. ლომსაძემ (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა, მეორე ადგილზე არიან ქუთაისელი ტანმოვარჯიშეები. სულ ოსტატის ნორმა შეასრულა 4-მა სპორტსმენმა, ხოლო პირველი თანრიგისა — 13-მა

გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ შეჯიბრებაზე არ იყვნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის წარმომადგენლები.

• • •

დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო ჩემპიონატის პირველი და მეორე წრის შეხვედრები ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ვაჟთა 83-მა და ქალთა 52-მა კოლექტივმა. შეჯიბრება ჩატარდა ოთხ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდები იბრძოდნენ ქალაქის ჩემპიონის წოდებისათვის.

პირველი ადგილი ვაჟთა შორის მოიპოვა საქართველოს საკონსტრუქტორო ბიუროს გუნდმა. ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა 26 კომისრის სახელობის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივი „ისანი“. მეორე ჯგუფში გამარჯვება მოიპოვეს პლასტმასის ქარხნის და № 6 სამკერვალო ფაბრიკის ფრენბურთელებმა.

შეჯიბრების პროცესში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა 20-მა სპორტსმენმა, ხოლო მეორე თანრიგისა — 35-მა.

ი. რუხაძე

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო მატჩი კრივში საბჭოთა კავშირის ნაკრებსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა მოკრივეებმა საერთო ანგარიშით 8:2.



სურათზე: უმჩატესი წონის მოკრივეთა შეხვედრა ჰ. ფრიდრიხისა (გფრ) და ვ. ბისტროვს შორის. გაიმარჯვა ბისტროვმა (სსრკ).

• • •

ამას წინათ პარიზში დამთავრდა შეჯიბრება ფარიკაობაში მარტინის სახელობის თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო რაპირისტები. უძლიერესის სახელი და მასთან ერთად თასი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ი. სისიკინმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა საბჭოთა მოფარიკავე გ. სვეშნიკოვი.



სურათზე: ი. სისიკინი (მარცხნივ) და გ. სვეშნიკოვი.

# სპორტის სამყარო

## ნინაა „აუსტრია“

როგორც ცნობილია, ბრძოლა ავსტრიის ჩემპიონობისათვის ფეხბურთში წარმოებდა მხოლოდ დედაქალაქის ორ ცნობილ კლუბს — „რაპიდსა“ და „ვინერ შპორტკლუბს“ შორის.

დამთავრდა ავსტრიის ჩემპიონატის პირველი წრე. მატჩი ძველ მეტოქეებს შორის მოიგო „ვინერ შპორტკლუბმა“ (1:0), მაგრამ ამას ამჯერად არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია ლიდერობისათვის ბრძოლაში. საქმე იმაშია, რომ წელს ორივე გუნდი წარუმატებლად თამაშობს და საკმაოდ ჩამორჩა ლიდერთა ჯგუფს. ახლა 21 ქულით პირველ ადგილზეა თასის მფლობელი „აუსტრია“, რომელიც 2 ქულით უსწრებს „ვინერ ატლეტიკ კლუბს“. მესამე ადგილზეა „ვიენა“ (16 ქულა). ბურთების უარესი შეფარდებით მე-4 ადგილზეა პირველი ლიგის დებიუტანტი „შვეჰატი“.

სპორტული მიმომხილველები „რაპიდის“ მარცხს ხსნიან მოთამაშეთა ზედმეტი გადაღლით მრავალრიცხოვანი საერთაშორისო თამაშების შემდეგ, აგრეთვე ზოგიერთი მათგანის ავადმყოფობით.

## ჩვენ გვწერენ

## არ გვაქვს ბაზები

საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაღალმთიანი კურორტია მანგლისი, რომელიც სულ რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული თბილისს. აქ არის შესანიშნავი ფიჭვის ტყე, სადაც თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში ატარებენ დროს დამსვენებლები.

მაგრამ ეს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე მნიშვნელოვანწილად გამოუყენებელი რჩება იმის გამო, რომ ამ ტყის ტერიტორიაზე არ არის არავითარი სპორტული მოედანი და არც რაიმე ღონისძიება ეწყობა, ამის გამო ფიზკულტურული ცხოვრებისაგან განზე დგანან როგორც აქაური ახალგაზრდობა, ისე ჩამოსული დამსვენებლებიც.

თეთრი წყაროს რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რათა მანგლისში შეიქმნას კარგი სპორტული ბაზა.

**ა. სამადაშვილი, ნ. მეხრაძე, ა. მჭედლიძე, ი. მიქოიანი, ჯ. მეხრაძე.**

მანგლისის ახალგაზრდობის სახელით.

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 1 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი „მძლეოსნობის მივიწყებული სახეობა“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ბურევესტნიკის“ სტადიონზე არ არსებობს მძლეოსნობისათვის საჭირო სათანადო ინვენტარი, 3000 მეტრზე სარბენი ბილიკი და სხვ.

როგორც „ბურევესტნიკის“ სტადიონის დირექცია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. დასახულია ღონისძიებანი, რათა 1961 წლის სეზონის დაწყებისათვის მოყვანილ იქნას წესრიგში ბილიკი 3000 მეტრზე რბენისათვის, წყლის ორმო და სხვ.

## სუბიექტური რეფერენდუმი

დასავლეთ გერმანიის სპორტულმა სააგენტომ „ინტერნაციონალე შპორტ-კორესპონდენტმა“ (ისკ) მოაწყო საახალწლო რეფერენდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა გამოევლინა მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები 1960 წლის სეზონის შედეგების მიხედვით. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს 24 ქვეყნის გაზეთების, ჟურნალების და სააგენტოების, მათ შორის „სოვეტსკი სპორტის“ წარმომადგენლებმა.

ასეთი ღონისძიებები ყოველი წლის მიწურულში ეწყობა, რომლებიც მიზნად ისახავენ გამოავლინონ პოპულარულ სპორტსმენთა გვარები. თავიანთ რჩეულებს ხმას აძლევენ სპორტის უბრალო მოყვარულებიც და გაზეთის მკითხველებიც, მაგრამ როცა რეფერენდუმში მონაწილეობისათვის იწვევენ სპეციალისტებს, ისინი ვალდებული არიან მთელი პასუხისმგებლობით და ობიექტურობით მიუდგნენ კანდიდატთა შერჩევას.

ამ მხრივ „ისკ“-ის რეფერენდუმი არ შეიძლება ობიექტურად ჩავთვალოთ. მასში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფმა და მთელი რიგი ქვეყნები იზოლირებულნი იქნენ. არ მოიწვიეს ისეთი მოწინავე სპორტული ქვეყნების წარმომადგენლები როგორებიცაა ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი. გაუგებარია, რატომ წარმოადგენდა აზიის ვეებერთელა მატერიკს ყველასათვის უცნობი სპორტული ორგანო გონკონგიდან? სხვათა შორის „ისკ“-ი მას რატომღაც ჩინეთის უფლებებს აწერს, რატომ აუარეს რეფერენდუმის ორგანიზატორებმა გვერდი გამოღვიძებულ აფრიკას, რომელმაც ესოდენ დიდ წარმატებებს მიაღწია ოლიმპიურ თამაშებზე.

რეფერენდუმის შედეგად მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა სია განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით: 1. ვილმა რუდოლფი (აშშ) — 145 ქულა, 2. არმინ ჰარი (გფრ) — 143, 3. ჰერბ ელიოტი (ავსტრალია) — 136, 4. რაფერ ჯონსონი (აშშ) — 124, 5. იური ვლასოვი (სსრკ) — 98, 6. პეტრე ბოლოტნიკოვი (სსრკ) —61, 7. ოტის დევისი (აშშ) — 43, 8. ბორის შახლინი (სსრკ) — 38, 9. რალფ ბოსტონი (აშშ) — 37, 10–11. კრის ფონ ზალცა (აშშ) — 33, უილიამ ნიდერი (აშშ) — 33.

საინტერესოა როგორ არის განაწილებული ხმები ამ კონკურსში? რა თქმა უნდა, ძნელია დაადგინო ვისი მაჩვენებელია უკეთესი რუდოლფის თუ ვლასოვის, ან ჰარის თუ ბოლოტნიკოვისა. ზუსტი საზომი სიძლიერის ასეთი სახით გასაზომად არ არსებობს. ა. ჰარიმ ჩამოაჰრა ერთი მეათედი წამი მსოფლიოს რეკორდს, მაგრამ ი. ვლასოვმაც ხომ დაუმატა მსოფლიოს საუკეთესო მიღწევას 25 კილოგრამი? ვლასოვის შედეგს უდიდეს მოვლენად თვლიდნენ სპორტის ისტორიაში, მაგრამ როცა მისთვის ადგილის მიკუთვნების რიგი მოვიდა, გამოირკვა, რომ ეს მიღწევა არაფერი ყოფილა რუდოლფის, ჰარის, ელიოტისა და ჯონსონის შედეგებთან.

მაგრამ ბევრნი უფრო რეალურად აყენებენ ამ საკითხს. მაგალითად, პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ (საფრანგეთი) პირველი ადგილი მიაკუთვნა ი. ვლასოვს. ასეთივე აზრისაა სკანდინავიის ავტორიტეტული ორგანო „იდროტსბლადეტი“ (შვეცია), რომლის აზრით „ვლასოვის მაჩვენებელი მიმდინარე სეზონში, მთელი ეპოქა იყო სპორტის ისტორიაში“. „ისკ“-ის სააგენტომ კიდევ ბევრი ანკეტა მიიღო ვლასოვის სასარგებლოდ. მაშ რატომ მოხდა, რომ ხმების დათვლისას ვლასოვზე წინ ოთხი სპორტსმენი აღმოჩნდა? ხომ არ არის ყველაფერი ეს „ისკ“-ის სააგენტოს სუბიექტური პოზიციით გამოწვეული?

**ნ. ბარიშვილი**

## ნორვეგიელთა გეგმები

როგორც ცნობილია, ნორვეგია საბჭოთა კავშირსა და თურქეთთან ერთად იმყოფება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში. ნორვეგიელი ფეხბურთელები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი შეხვედრებისათვის.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ დღეებში გამოაქვეყნა მომავალი წლის შეხვედრათა კალენდარი.

16 მაისი. ოსლო. ნორვეგია-თურქეთი (მსოფლიო პირველობაზე). 27 ივნისი. ჰელსინკი. ფინეთი-ნორვეგია (ჩრდილოეთის ქვეყნების პირველობა). 1 ივლისი. მოსკოვი. საბჭოთა კავშირი-ნორვეგია (მსოფლიო პირველობაზე). 23 აგვისტო. ოსლო. ნორვეგია-საბჭოთა კავშირი (მსოფლიო პირველობაზე). 17 სექტემბერი. ოსლო. ნორვეგია-დანია (ჩრდილოეთის ქვეყნების პირველობაზე). 22 ოქტომბერი. სტოკჰოლმი. შვეცია-ნორვეგია (ჩრდილოეთის ქვეყნების პირველობაზე). 29 ოქტომბერი. სტამბოლი. თურქეთი-ნორვეგია (მსოფლიო პირველობაზე).

თავიანთი უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი წელს ნორვეგიელებმა ჩაატარეს დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან და წააგეს იგი ანგარიშით 1:3.

## ჰ. რეკნაგელს უარი ეთქვა

სკვო-ველის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ამერიკის სათხილამურო სპორტის ეროვნულმა ასოციაციამ საუკეთესო მოთხილამურედ აღიარა ხტომებში გამარჯვებული ჰ. რეკნაგელი. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა ამას წინათ მიიღო აშშ-ს სათხილამურო სპორტის ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივნის პირადი მოწვევა ამ ქვეყნის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ დეპარტამენტმა უარი თქვა გაეცეს ვიზა ჰ. რეკნაგელს, როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკვიდრს.

**რედაქტორი ი. უბულავა.**




ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი

20—21—22—23 დეკემბერი

საქართველოს პირადი პირველობა

კრივში

დასაწყისი 18 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.




საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08925